საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2312 2019 წლის 7 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, **2019 წლის 7 ნოემბრიდან** გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთი ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით.

2. ყველას აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან **ოცდაათი დღის** ვადაში.

3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, რომელსაც აქვს ეკონომიკის, საჯარო ადმინისტრირების, ბიზნესადმინისტრირების, სამართლის, ელექტრონული კომუნიკაციების ან ჟურნალისტიკის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, 3 წლისა - მმართველ თანამდებობაზე.

4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) უმაღლესი განათლების (შესაბამისი სპეციალობის) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 10 წლის (აქედან 3-წელი მმართველ თანამდებობაზე) მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრისათვის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს;

თ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის ვადაში (2019 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №7, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

6. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით, შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნათია მეზვრიშვილი	- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბექა დოჭვირი	- საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;
ეკატერინე ფრანგულაშვილი	- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

7. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა და ის კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

8. კანდიდატურების დასახელების ვადის ამოწურვიდან 10 დღეში კანდიდატთა სია და მათ მიერ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტები გამოქვეყნდეს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთი ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**